ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების 2024 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

ააიპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების შესახებ მოკლე ინფორმაცია

ააიპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2011 წელს დაფუძნებული არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირია, რომელიც თავისი 15 სტრუქტურული ერთეულის მეშვეობით ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკოლამდელ განათლებას ახორციელებს. ბაღების გაერთიანება სკოლამდელი განათლების სერვისს აწოდებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ 500-მდე აღსაზრდელს.

გაერთიანება უზრუნველყოფს სკოლამდელი დაწესებულებების გამართულ და შეუფერხებელ მუშაობას, ზრუნავს აღსაზრდელთა და პერსონალის უსაფრთხოებაზე და საგანმანათლებლო პროცესის ხარისხზე, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსის შეუფერხებლად მიწოდებას, კოორდინაციას უწევს კვების პროცესს, ზრუნავს ბაღების ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე.

განხორციელებული აქტივობები

1. **სკოლამდელი დაწესებულებების უსაფრთხოებისა და დაცულობის მათ შორის დაწესებულების თანამშრომლების ფიზიკური და ემოციურ უსაფრთხოების დაცულობის გაუმჯობესება.**

ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანებამ სკოლამდელი დაწესებულებებში აღსაზრდელთა და თანამშრომელთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით ბაღებში განსაზღვრა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები.
ცვლილებები შევიდა გაერთიანების წესდებაში და შინაგანაწესში, თანამშრომლებისათვის შეიქმნა სამუშაო აღწერილობები სადაც კონკრეტული პოზიციებისთვის გაიწერა მოვალეობები. საგანმანათლებლო პერსონალის ხელშეკრულებებში გაიწერა არასაკონტაქტო საათი, რომელიც შედის სამუშაო საათებში არის ანაზღაურებადი.
გაერთიანების საგანმანათლებლო პერსონალის 50% გაიარა პირველადი დახმარების აღმოჩენის ტრენინგი.

2. **ეფექტიანი კურიკულუმის დანერგვა განხორციელება და ზრუნვა ბავშვების ჰოლისტურ განვითარებაზე.**

ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანებამ 2024 წელს ეფექტიანი კურიკულუმის დანერგვის და განხორციელების მიზნით მუშაობა დაიწყო ახალი კურიკულუმის შესწავლა ამ მიზნით

დაბა ქედის N2 საბავშვო ბაღში განათლების სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა ადრეული განათლების კურიკულუმის „თ ა მ ა შ ი“-2 და 5 წლამდე და შერეული ჯგუფებისათვის საპილოტე რეჟიმში განხორციელება. გაერთიანებამ კურიკულუმის მიზნების მისაღწევად ბაღისათვის შეიძინა კურიკულუმის შესაბამისი ავეჯი და რესურსი, პარალელურად გაერთიანებამ ავეჯი შეისყიდა სხვა საბავშვო ბაღებისთვისაც და ყველა ბაგა-ბაღის თითო ჯგუფი აღიჭურვა კურიკულუმის შესაბამისი, ბავშვის სიმაღლის ავეჯით. კურიკულუმის ფარგლებში ბაღის ჯგუფები მოეწყო ცენტრებად, ასევე მოეწყო ბაღის ეზოები, გაერთიანებამ ბაღის ეზოებისთვის შეიძინა საჩრდილობლები.
ყველა საბავშვო ბაღში მოეწყო სამასწავლებლოები სადაც საგანმანათლებლო პერსონალი გეგმავენ საგანმანათლებლო პროცესს, იყენებენ არასაკონტაქტო საათებს. განათლების სამინისტროს მხარდაჭერით საპილოტე ბაღის საგანმანათლებლო პერსონალს ჩაუტარდა ადრეული განათლების კურიკულუმის „თ ა მ ა შ ი“-2 და 5 წლამდე და შერეული ჯგუფებისათვის და ბავსვის სოციალურ ემოციური განვითარების ტრენინგები.

3. **ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფა**

ინკლუზიური განათლების ფარგლებში გაერთიანებამ შეიმუშავა ინკლუზიური განათლების სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს ბაღში ჩარიცხვის პროცედურების მოქნილობას, ბაღზე წვდომას, საბავშო ბაღის გაერთიანებაში შესაბამისი სპეციალისტების გუნდის შექმნას და მუნიციპალიტეტში არსებულ სერვისებთან თანამშრომლობას.

გაერთიანებამ საანგარიშო პერიოდში დანერგა ელექტრონული რეგისტრაციის სისტემა, რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტები. ბაღთან წვდომის უზრუნველყოფისათვის გაერთიანება თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის რესურსცენტრთან, ბაღების აღსაზრდელები სარგებლობენ სასკოლო ტრანსპორტით. ბაღებში შეიცვალა და ასევე გადაკეთდა ბავშვების სიმაღლისათვის შეუსაბამო ავეჯი, ჯგუფებში მოეწყოს ცენტრები, მოსასვენებელი და მყუდრო სივრცეები. გარემო გახდეს პროგნოზირებადი და ადვილად ხელმისაწვდომი. ინკლუზიური განათლების მხარდაჭერის მიზნით სხვადასხვა ბაღიდან 20აღმზრდელი გადამზადდა ბავშვის სოციალურ ემოციური განვითარების საკითხში.

4. **ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება**

საანგარიშო პერიოდში დასრულდა დანდალოს ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია და ბაღმა განაგრძო ფუნქციონირება, ასევე მოეწყო ცხმორისის ბაგა-ბაღის საკანალიზაციო სისტემა, ცხმორისის ხარაულის და წონიარისის ბაგა-ბაღებში გაკეთდა კოსმეტიკური რემონტი. დაბა-ქედის N1 ბაგა-ბაღში შეყვანილი იქნა ბუნებრივი აირი.

5. **მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება**

ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანებამ საანგარიშო პერიოდში ბაღებისათვის შეიძინა და განაახლა ძველი ავეჯი, რამდენიმე ბაღში შეიცვალა გამწოვები, გაერთიანების ოფისისთვის შეიძინა კომპიუტერები, ბაღების ინტერნეტით უზრუნველყოფისათვის შეიძინა ინტერნეტის როუტერები, განაახლა რბილი ინვენტარი, ორი ბაღისთვის შეიძინა კონდიციონერები. ბაღებისათვის შეიძინა პავილიონის ტიპის საჩრილობლები.

6. **კვება, სანიტარია-ჰიგიენა**

გაერთიანებამ საანგარიშო პერიოდში განახორციელა შესყიდვები ბაღებში კვებისა და სანიტარია ჰიგიენის უზრუნველყოფისათვის.

2024 წლის სამოქმედო გეგმის შეუსრულებელ აქტივობებს გაერთიანება შეიტანს და ასახავს მომდევნო წლის სამოქმედო გეგმაში.